

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის №01-06/11  
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № --

2024 წლის -- სექტემბერი  
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის  
სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართი №1-სა.
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება დადგენილ ვადაში.
3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე
1	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება-მონიტორინგი	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	ადმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	ადმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
5	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის 2024 წლის მესამე კვარტალის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	ოქტომბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
6	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	ოქტომბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
7	საკრებულოს კომისიების მიერ 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	ნოემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
8	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება.	დეკემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე